



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

19.05.2014

№ 18

სარჩევი

საქართველო.....	3
კახა კალაძე: არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ საქართველო საიმედო პარტნიორი ქვეყანაა.....	3
2014 წლის აპრილის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები	3
რეგიონი	4
ალიევის განცხადებით, აზერბაიჯანი შეცვლის ევროპის ენერგეტიკულ რუკას	4
ქვანახშირი კვლავ თურქეთის ენერგეტიკის ხერხემალია.....	5
„მსოფლიო ბანკი“ თურქეთის განახლებადი ენერგეტიკისთვის 350 მლნ აშშ დოლარს გამოყოფს	6
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები	7
რუსეთი უკრაინისათვის გაზის მიწოდების შეწყვეტით იმუქრება	7
ყირგიზეთის ქსელის Gazprom-ზე გადაცემამ ქვეყნის სამხრეთი 3 კვირა გაზის გარეშე დატოვა.....	9
ევროპა.....	10
საბერძნეთის ბუნებრივი აირის სტრატეგია.....	10
Statoil-ის აღმასრულებელი: ევროპაში ფიქალის გაზს მოკლევადიან პერიოდში არანაირი გავლენა არ ექნება.....	12
გერმანია ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს და ენერჯის 74%-ს განახლებადი წყაროებიდან იღებს.....	13
მსოფლიო.....	14
რუსეთსა და ჩინეთს გაზის შესახებ საბოლოო შეთანხმებამდე ერთი ნაბიჯი აშორებს - „გაზპრომი“.....	14
აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ვაჟი უკრაინულ გაზის კომპანიას უერთდება ..	15
ინდოეთი იაპონიას გადაასწრებს და სიდიდით მსოფლიოს მესამე ნავთობმომხმარებელი გახდება.....	16
ანალიტიკა	17
ბალტიისპირეთს შეუძლია გაუმკლავდეს რუსულ ენერგო ემბარგოს.....	17

კახა კალაძე: არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ საქართველო საიმედო პარტნიორი ქვეყანაა

ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, ირანს გაზის ტრანსპორტირების დიდი პერსპექტივა გააჩნია და თუ ამ ქვეყნის მიმართულებით საერთაშორისო პროექტი განხორციელდება, საქართველო მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს. კალაძე ამ განცხადებით, საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის



განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, ენერგოსაფრთხოების სფეროში საქართველოს დიდი როლის თამაში შეუძლია.

„ჩვენ რა თქმა უნდა, თუ რაიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტი განხორციელდება, მონაწილეობას აუცილებლად მივიღებთ. არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ საქართველო საიმედო პარტნიორი ქვეყანაა, თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტების განხორციელებით, როგორცაა შაჰდენიზი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. შაჰდენიზის ორ პროექტში, რომელიც 2014 წელს დაიწყება, საქართველო მონაწილეობას მიიღებს. უშუალოდ ჩვენი ქვეყნის გავლით დამატებითი ბუნებრივი აირის გატანა მოხდება თურქეთში, თურქეთის გავლით კი სხვა ევროპულ ქვეყნებში,“ - განაცხადა კალაძემ.

კალაძემ კომენტარი გაზსაცავის თემაზეც გააკეთა და განაცხადა, რომ ამ საკითხზე კვლევითი სამუშაოები ხორციელდება.

„უახლოეს მომავალში წარმოგიდგენთ გეგმას, თუ რის გაკეთებას აპირებს სახელმწიფო, თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ გაზსაცავის მშენებლობა ჩვენს ინტერესებში შედის,“ - აცხადებს კალაძე.¹

2014 წლის აპრილის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები

2014 წლის აპრილის თვეში ესკო-ს მეშვეობით შესყიდულმა (გაყიდულმა) საბალანსო ელექტროენერჯის რაოდენობამ 49 770 351 კვტ.სთ შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში ქსელში მთლიანი მიწოდების 6.1%-ს წარმოადგენს. საბალანსო ელექტროენერჯის ღირებულებამ 5 362 935 ლარი შეადგინა.

¹ <http://reportiori.ge/?menuid=3&id=26710&lang=1>

აპრილში საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ფასი ერთ კილოვატ საათზე 10.7753611 თეთრი დაფიქსირდა. დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერჯის ფასმა კი 7.492 თეთრი/კვტ.სთ შეადგინა.

აპრილის თვეში ესკომ განახორციელა ელექტროენერჯის იმპორტი აზერბაიჯანიდან. მომწოდებლების წილობრივი მაჩვენებლები საბალანსო ელექტროენერჯის მთლიან მოცულობაში ასეთია: ჰიდროელექტროსადგურები – 30.8%, იმპორტი – 69.2%.

2014 წლის აპრილში ესკომ-დან საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვა განახორციელეს გამანაწილებელმა ენერგოკომპანიებმა და პირდაპირმა მომხმარებლებმა. მათი წილობრივი მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში, შესაბამისად, 94.03%-სა და 5.97%-ს შეადგენს.

აპრილის თვეში გარანტირებული სიმძლავრის სამივე წყაროს მიერ ფაქტობრივად უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიანი ღირებულება იყო 3 669850 ლარი, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების მიერ ყოველ მოხმარებულ კილოვატ საათზე გადახდილმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა 0.55423640 თეთრი შეადგინა.²

რეგიონი

ალიევის განცხადებით, აზერბაიჯანი შეცვლის ევროპის ენერგეტიკულ რუკას

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ბაქოში 12 მაისს გამართულ შეხვედრაზე, სადაც მან საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს უმასპინძლა, განაცხადა, რომ აზერბაიჯანი მჭიდროდ თანამშრომლობს საფრანგეთთან და მთლიანად ევროპასთან ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში.



„აზერბაიჯანი ძალისხმევას არ იშურებს და მხარს უჭერს ევროპას ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში. გასული წლის ბოლოს ხელმოწერილი დოკუმენტები დაეხმარება აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის ევროპაში ტრანსპორტირების საკითხს და

² http://esco.ge/index.php?article_id=137&clang=0

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროექტის განხორციელების შემდეგ ჩვენი ურთიერთობა უფრო გაღრმავდება,“ - განაცხადა ალიევმა და იქვე დაამატა, რომ შაჰ-დენიზის საბადო, ტრანს-ანატოლიისა და ტრანს-ადრიატიკული გაზსადენები ევროპის უდიდესი ინფრასტრუქტურული პროექტებია, რომელთა საინვესტიციო ღირებულება 45 მლრდ აშშ დოლარს აღწევს და მათი განხორციელებით ყველა - აზერბაიჯანი, სატრანზიტო ქვეყნები და ევროპელი მომხმარებლები დიდ სარგებელს მიიღებენ, რადგანაც ეს პროექტები ყველა მხარის ინტერესს მაქსიმალურად ითვალისწინებს.

ამას გარდა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ისაუბრა იმაზეც, რომ უკვე წლებია მისი ქვეყანა ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს მსოფლიოსა და ევროპისთვის ენერგეტიკული რესურსების მიწოდების კუთხით და მხარს უჭერს მრავალი ქვეყნის ენერგოსაფრთხობას, რაც ეროვნული უსაფრთხოების საწინდარია.

„აზერბაიჯანის ნავთობისა და ბუნებრივი აირის დიდი რესურსი, არსებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად შეცვლის ევროპის ენერგეტიკულ რუკას,“ - ხაზი გაუსვა ალიევმა.³

ქვანახშირი კვლავ თურქეთის ენერგეტიკის ხერხემალია

მიუხედავად იმ დიდი ძალისხმევისა, რომლითაც თურქეთი ცდილობს გადავიდეს სუფთა და იაფი საწვავის მოხმარებაზე, ქვანახშირის წილი ელ.ენერჯის გამომუშავებაში



25%-ზე მეტია და ის ქვეყნის ენერგეტიკული მოთხოვნის ერთ მესამედს აკმაყოფილებს.

„სოციალური დაცვის საზოგადოებამ“ სააგენტო Anadolu-ს განუცხადა, რომ ქვეყნის მასშტაბით ქვანახშირისა და მურა ნახშირის მომპოვებელ 740 კომპანიაში დაახლოებით 49 000 ადამიანია დასაქმებული და მოპოვებული

ნედლეულით 61.5 ტერავატ.სთ. ელ.ენერჯის წარმოება ხდება.

თურქეთში 2013 წელს ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 12.563 მგვტ.-ს შეადგენდა, რაც მთლიანად ქვეყანაში არსებული ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრის 20%-ია.⁴

³ <http://en.trend.az/capital/energy/2272998.html>

⁴ <http://www.hurriyetdailynews.com/coal-still-backbone-of-turkish-energy-sector.aspx?pageID=238&nID=66483&NewsCatID=348>

„მსოფლიო ბანკი“ თურქეთის განახლებადი ენერჯეტიკისთვის 350 მლნ აშშ დოლარს გამოყოფს

„მსოფლიო ბანკმა“ თურქეთის განახლებადი ენერჯეტიკის პროექტების მხარდასაჭერად 350 მლნ აშშ დოლარის კრედიტი დაამტკიცა.

„მსოფლიო ბანკის“ განცხადებით, 300 მლნ აშშ დოლარის სესხს, რომელსაც 5 წლიანი საშეღავათო პერიოდის შემდეგ დაფარვის 18 წლიანი გრაფიკი აქვს, „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი“, ხოლო 50 მლნ აშშ დოლარს, რომელსაც 10 წლიანი საშეღავათო პერიოდის შემდეგ დაფარვის 20 წლიანი გრაფიკი აქვს, „მსოფლიო ბანკის“ მმართველობაში არსებული „სუფთა ტექნოლოგიების ფონდი“ გამოყოფს.

თურქეთი ელ.ენერჯის 43%-ს ბუნებრივი აირის სადგურების, 25-25%-ს ქვანახშირისა და ჰიდრო ელექტროსადგურების, ხოლო 7%-ს ენერჯის განახლებადი წყაროების მეშვეობით გამოიმუშავებს.



თურქეთის განახლებადი ენერჯის ინტეგრაციის პროექტს ქვეყნის ხაზინის მხარდაჭერით თურქეთის მთავრობა განახორციელებს.

დაფინანსება მიზნად ისახავს ქვეყნის მზარდი მოთხოვნა ენერჯიაზე განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელ.ენერჯით დააკმაყოფილოს.

თურქეთში „მსოფლიო ბანკის“ დირექტორის მარტინ რეისერის ცნობით, ქვეყანას განახლებადი ენერჯის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია, თუმცა ამ რესურსის სრულად გამოყენებას მნიშვნელოვანი სახელწიფო და კერძო ინვესტიციები სჭირდება.

„მსოფლიო ბანკი ათწლეულის მანძილზე მხარს უჭერს თურქეთის ენერჯეტიკაში მიმდინარე რეფორმებს, რომელთა მიზანია ქვეყნის ენერჯეტიკის სექტორი გახდეს უსაფრთხო, დამოუკიდებელი და განახლებად წყაროებზე ორიენტირებული. ეს პროექტი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ მიმართულებით,“ - განაცხადა მარტინ რეისერმა.

„მსოფლიო ბანკმა“ უზრუნველყო „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის დაფინანსება, რომლის მეშვეობითაც აზერბაიჯანიდან, საქართველოს გავლით, თურქეთს ნავთობი მიეწოდება. „მსოფლიო ბანკის“ მხარდაჭერით განხორციელდა ასევე ისეთი ენერჯეტიკული პროექტები, როგორცაა სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა და ცენტრალურ თურქეთში გაზსაცავის პროექტი.⁵

რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები

რუსეთი უკრაინისათვის გაზის მიწოდების შეწყვეტით იმუქრება

ევროკავშირში რუსეთის წარმომადგენელმა ვლადიმირ ჩიჟოვმა უკრაინისათვის გაზის მიწოდების შეწყვეტა არ გამორიცხა, რაც სავარაუდოდ ევოპასაც შეუქმნის პრობლემებს. „რაც შეეხება უკრაინისათვის გაზის მიწოდების შეწყვეტის შესაძლებლობას, თუ 3.5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების დავალიანების პრობლემა არ გადაწყდება, ამ ქვეყანაში მიმდინარე არაპროგნოზირებადი პროცესების გათვალისწინებით, არაფერს გამოვრიცხავ,“ - განაცხადა რუსმა დიპლომატმა.

ჩიჟოვის განცხადებით, კიევს დავალიანება შეუძლია დაფაროს სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი თანხებით.

შეგახსენებთ, რომ რუსული მხარის განცხადებით, 7 მაისს ამოიწურა მარტში მოხმარებული გაზის საფასურის გადახდის ვადა, უკრაინულმა „ნაფტოგაზმა“ კი ერთი გადარიცხვაც არ განახორციელა. რუსეთი უკრაინის საერთო დავალიანებას 3.5 მლრდ აშშ დოლარად აფასებს. „გაზპრომი“ აცხადებს, რომ ამიერიდან უკრაინა იმდენ გაზს მიიღებს რამდენსაც 31 მაისამდე გადაიხდის.

ამავე დროს, უკრაინა აცხადებს, რომ არ აპირებს „გაზპრომისათვის“ გაზის საფასურის წინასწარ გადახდას.

შეგახსენებთ, რომ შარშან დეკემბერში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე უარის სანაცვლოდ იანუკოვიჩის ხელისუფლებამ რუსეთისაგან 15 მილიარდი აშშ

⁵<http://www.hurriyetdailynews.com/world-bank-approves-350-million--for-turkeys-renewable-energy---.aspx?pageID=238&nID=66366&NewsCatID=348>

დოლარი და გაზზე 33%-იან ფასდაკლება მიიღო. მოსკოვში ვლადიმერ პუტინისა და ვიქტორ იანუკოვიჩის შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების მიხედვით უკრაინა 1000 კუბურ მეტრ რუსულ გაზს 400 დოლარის ნაცვლად 268.5 დოლარად მიიღებდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამავე შეთანხმებით, უკრაინას გაზზე ფასდაკლების თხოვნა ყოველკვარტალში მოუწევდა. ამ ტარიფში გათვალისწინებული იყო ყირიმში რუსეთის სამხედრო ბაზების სანაცვლო ფასდაკლებაც. იანუკოვიჩის პრეზიდენტობის დროს უკრაინამ სევასტოპოლში რუსული სამხედრო ბაზები იმ პირობით დატოვა, რომ გაზის ტარიფი მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. თუმცა რუსეთმა საპირისპირო გააკეთა და „გაზპრომი“ ბუნებრივი აირს ყველაზე ძვირად, სწორედ, უკრაინაში ყიდდა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ბაზების სანაცვლოდ რუსული გაზის ფასს 100 დოლარი „აკლდებოდა“.



ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთმა განაცხადა, რომ იანუკოვიჩთან მიღწეულმა შეთანხმებამ ძალა დაკარგა და აღარც შავი ზღვის ფლოტია უკრაინის ტერიტორიაზე. შესაბამისად 1 აპრილიდან „გაზპრომი“ უკრაინას გაზს 480 დოლარად აწვდის. ეს ტარიფი ევროპულ ფასებზე 2-ჯერ მეტია. გერმანია უკრაინის გავლით მიღებულ რუსულ გაზში 260 დოლარს იხდის. ეს ფაქტი ეკონომიკურ ლოგიკას მოკლებულია, რადგან უკრაინისათვის მიწოდებული გაზის თვითღირებულება ნაკლებია, ვიდრე უკრაინის გავლით ევროპისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის.

იური პროდანის განცხადებით, დაუსაბუთებელი ფასებით რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ეკონომიკურ ომს აწარმოებს. რუსეთის მიერ საკუთარი ენერგორესურსების უკრაინაზე „ზეწოლის ინსტრუმენტად“ გამოყენება ამერიკამაც დაგმო. „უკრაინა დღეისათვის ათას კუბურ მეტრ რუსულ ბუნებრივ აირში 480 აშშ დოლარს იხდის, ეს

საბაზრო ფასი არ არის და იმ ფასზე მაღალია, რასაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები იხდიან.”- განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენიფერ ფსაკმა.

უკრაინა პოლონეთს, უნგრეთსა და სლოვაკეთს „რევერსული გაზის“ მიწოდებას თხოვს. ფასთა სხვაობის გამო უკრაინისთვის მომგებიანია რუსული გაზის ევროპული ქვეყნებისაგან შეძენა. ტექნიკურად რუსული გაზი უკრაინის გავლით ევროპას მიეწოდება და შემდეგ ევროპიდან ის კვლავ უკრაინას დაუბრუნდება. ამიტომ გაზის მიწოდების ასეთ სქემას ეწოდება „რევერსული გაზი“.

ევროპაში ექსპორტირებული რუსული გაზის სულ მცირე 50% უკრაინაზე გადის. 2013 წელს ევროკავშირმა 140 მლრდ კუბური მეტრი რუსული გაზი შეიძინა.

ევროკომისიის გადაწყვეტილებით, უკრაინის კრიზისის საპასუხოდ ევროკავშირი რუსულ გაზზე დამოკიდებულებას შეამცირებს.⁶

ყირგიზეთის ქსელის Gazprom-ზე გადაცემამ ქვეყნის სამხრეთი 3 კვირა გაზის გარეშე დატოვა

როცა რუსეთის ენერჯო გიგანტმა Gazprom-მა გასულ თვეს ყირგიზეთის გაზის სისტემაზე კონტროლი მიიღო, ქვეყნის პრემიერ მინისტრმა ეს ტრანსფერი „ისტორიულ ფაქტად“ მონათლა. Gazprom-ის აღმასრულებელმა ალექსეი მილერმა კი მისი კომპანიის



სახელით გაზის სტაბილური მიწოდების კოტრაქტი დადო. თუმცა, ყირგიზეთის სამხრეთ ნაწილის მოსახლეობისთვის ეს მოვლენა არანაირ იმედს არ მოასწავებს, რადგან უკვე 24 დღეა ადგილობრივები ბუნებრივი აირის გარეშე არიან.

გადაცემის ცერემონიიდან 4 დღის თავზე უზბეკეთმა ყირგიზეთის სამხრეთს გაზის მიწოდება შეუწყვიტა. ოშის (ყირგიზეთის სიდიდით მეორე ქალაქი) მოსახლეობა იძულებულია ძვირი ელ.ენერჯია და შეშა გამოიყენოს ენერგეტიკული მიზნებისთვის. საბედნიეროდ ამ დროისათვის თბილი ამინდებია და გათბობაზე დიდი მოთხოვნაც არაა.

შეთანხმების თანახმად, რომელიც ყირგიზეთის პარლამენტმა დეკემბერში დაამტკიცა, Gazprom-მა სიმბოლურ ფასად 1 აშშ დოლარად მიიღო კომპანია ყირგიზგაზის მთელი ქონება და მიწის იჯარისგან განთავისუფლდა ის ტერიტორიები, სადაც

⁶ <http://news.ge/ge/news/story/88540-ruseti-ukrainisatvis-gazis-mitsodebis-shetsyvetit-imuqreba>

სხვადასხვა მოწყობილობებია განთავსებული. გაცვლის შედეგად Gazprom-ს გადაეცა ადგილობრივი კომპანიის 38 მლნ აშშ დოლარის ვალი და სისტემის გასაუმჯობესებლად 600 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს. ყირგიზეთი იმედოვნებს, რომ გრძელვადიან პერიოდში Gazprom-ი გააუმჯობესებს ენერჯის მიწოდებას და შეამსუბუქებს იმ სიტუაციას, როცა ზამთრის პერიოდში ქვეყანა გათიშვებს განიცდის.

თუმცა, შეთანხმების შემდეგ გაზის მიწოდება კიდევ უფრო გაუარესდა. უზბეკეთის სახელმწიფო გაზის მიმწოდებელმა „უზტრანსგაზმა“ მიწოდება შეაჩერა, რადგან წინა ხელშეკრულების მიხედვით „ყირგიზგაზი“ და „უზტრანსგაზი“ შეთანხმებულნი იყვნენ, რომ თუ „ყირგიზგაზი“ სხვის ხელში გადავიდოდა, მაშინ უზბეკეთის მხარე ვალდებული არ იქნებოდა გაზის მიწოდებაზე. „ჩვენ უზბეკეთი ყირგიზგაზის Gazprom-ისათვის გადაცემის შესახებ არ გავგიფრთხილებია, რამაც გამოიწვია გაზის მიწოდების დროებითი შეჩერება“ - განაცხადა „ოშგაზის“ წარმომადგენელმა.

უზბეკეთი გადახდების დავალიანების გამო ყირგიზეთის სამხრეთ ნაწილს გაზს ხშირად უთიშავს, თუმცა ამ მომენტში ეს პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან „ყირგიზგაზის“ განცხადებით, 70 000 აშშ დოლარი „უზტრანსგაზისთვის“ წინასწარაა გადახდილი.⁷

ევროპა

საბერძნეთის ბუნებრივი აირის სტრატეგია

ათენში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე - „საბერძნეთის გაზისა და ენერჯო ბაზრების მომავალი“, საბერძნეთის ბუნებრივი აირის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ასპექტები გაუღერდა.

კონფერენციაზე საბერძნეთის ენერჯეტიკის მინისტრმა იოანის მანიატისმა ამ სტრატეგიის ძირითად საკითხებზე ისაუბრა. ქვეყნისთვის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანს-ადრიატიკული მილსადენის (TAP) დასრულებაა, რომელიც სამხრეთ დერეფნის გაფართოებისთვის სასიცოცხლო ელემენტია და მილსადენების კომპლექსურ სისტემას წარმოადგენს, რომელიც TAP-ის გარდა, ტრანს-ანატოლიური მილსადენისა (TANAP) და იონიან-ადრიატიკის მილსადენისგან (IAP) შედგება. ამ პროექტის განხორციელებით ევროპის გაზის ბაზარი აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის

⁷ <http://oilprice.com/Energy/General/Gazprom-Takeover-Leaves-Southern-Kyrgyzstan-Without-Gas-For-Three-Weeks.html>

მიღებით უფრო გაფართოვდება. საბერძნეთის ენერჯო სტრატეგები ამ ახალ მარშრუტის კიდევ უფრო განვითარებაზე მსჯელობენ დამატებით ეგეოსი - ბალტიის კორიდორის (ABC) ახალი კონცეფციის შექმნით, რომელიც საბერძნეთიდან პოლონეთამდე 7 ქვეყნის გაზის სისტემებს დააკავშირებს და მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდება ამ ქვეყნებს შორის გაზის ნაკადების რევერსული მოძრაობა. უკვე 2016 წლისთვის საბერძნეთი - ბულგარეთის დამაკავშირებელი (IGB) მზად იქნება, რომელიც ამ კონცეფციის მიმართულებით მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი იქნება.



ამას გარდა, ოფიციალური ათენი ევროკავშირისგან ე.წ. „ერთობლივი ინტერესის პროექტების“ (PCI) დაფინანსებას აქტიურად ითხოვს, რომელიც ბრიუსელისგან ფინანსდება. PCI-ის ფარგლებში საბერძნეთი Revythousa LNG ტერმინალის სიმძლავრეს 80%-ით ზრდის, რომლის მიზანია გაზარდოს საბერძნეთის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის გაზის მიწოდებისა და დივერსიფიცირების შესაძლებლობა. „ერთობლივი ინტერესის პროექტები“ დამატებით მოიცავს 2 მოტივტივე LNG სადგურს, რომელთაგან ერთი უახლოეს წლებში განხორციელდება. ამ პროექტების უმთავრეს მიზანს ქვეყანაში ყოველწლიურად გაზის შიდა მიწოდების ნაკადების მოცულობის 15 მლრდ.კუბ.მ-მდე გაზრდა წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ზემოთ აღნიშნული პროექტებისთვის, გაზის დამატებითი მოცულობების მისაწოდებლად, ენერჯეტიკის მინისტრი დამატებითი გაზის კომპრესორების, მილსადენებისა და შესაბამისი მოწყობილობა-დანადგარების დამონტაჟების უზრუნველყოფის გეგმებს ადგენს. სტრატეგიის ერთ-ერთ მიზანს ბუნებრივი აირის ფასწარმოქმნის ცენტრის შექმნაა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებსაც მოიცავს.

შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტი East Med-ის მილსადენის დასრულებაა, რომლის მიხედვითაც ისრაელისა და კვიპროსის ოფშორული მარაგებიდან ბუნებრივი აირის

მიწოდება საბერძნეთის ტერიტორიაზე მოხდება, რაც ამ უკანასკნელის გაზის მიღების დივერსიფიცირებას ზრდის.

ზოგადი სტრატეგია ასევე მოიცავს ნავთობისა და გაზის მიმდინარე კვლევა-ძიებით სამუშაოებს საბერძნეთის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში, რომლის პირველადი შედეგი რამდენიმე წელში გახდება ცნობილი. წინა კვლევებმა და მეცნიერულმა შეფასებებმა ნახშირწყალბადების საკმაო მოცულობა დააფიქსირა ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიებზე, როგორცაა ლოანინას რეგიონი, დასავლეთ პელოპონესისა და თესალონიკის ოფშორული ტერიტორიები. ამასთანავე ქვეყანა ცდილობს აღნიშნული მიმართულებებით განათლება მისცეს ახალგაზრდა პროფესიონალებს.

ბოლო და არა უკანასკნელი საკითხია ასევე ისიც, რომ საბერძნეთის საზღვაო ვაჭრობის ინდუსტრია ძალებს არ იშურებს, რათა LNG-ის ერთ-ერთი გლობალური გადამზიდავი გახდეს.⁸

Statoil-ის აღმასრულებელი: ევროპაში ფიქალის გაზს მოკლევადიან პერიოდში არანაირი გავლენა არ ექნება

ნორვეგიის სახელმწიფო ნავთობკომპანია Statoil-ის აღმასრულებლის ჰელჯ ლუნდის განცხადებით, მოსახლეობის სიმჭიდროვისა და ფისკალური მხარდაჭერის ნაკლებობის გამო, ევროპაში ფიქალის ქანებიდან არატრადიციული ბუნებრივი გაზის მოპოვება ახლო



პერიოდში ვერ განვითარდება. „საჭიროა ეფექტური ქანები (ფიქალის), ასევე ფისკალური ღონისძიებების განხორციელება, რომ ეს რესურსები ინვესტირებადი იყოს. ამ ყველაფერთან ერთად კი აუცილებელია საჯარო მხარდაჭერაც“ - აცხადებს ლუნდი.

Statoil-ი აშშ-ს ფიქალის ბაზარზე ერთ-ერთი პირველი ინვესტორი იყო, რომელმაც ოკლაჰომის კომპანია Chesapeake Energy-სთან ერთად 2008 წელს „მარსელუს“ ფიქალის საბადოზე (600 000 აკრი ფართობი) ოპერირება დაწყო. „ძალიან რთულია ფიქალის რესურსების განვითარება ისეთ ტერიტორიებზე, სადაც მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობაა. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ფიქალი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ევროპაში მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში“ - აღნიშნავს ლუნდი.

⁸ <http://www.naturalgaseurope.com/greek-gas-power-markets-natural-gas-strategy>

Statoil-ისა და რუსული Rosneft-ის ერთობლივ საწარმოს საქმიანობაზე ბოლო პერიოდში რუსეთზე დაწესებულ სანქციებს, რომელიც უკრაინის კრიზისის გამო მოხდა, არანაირი გავლენა არ ქონია. „ჩვენ ვემორჩილებით საერთაშორისო სანქციებს. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ვაცნობიერებთ არსებულ სიტუაციას, ამჟამად დაწესებულ სანქციებს, ჩვენი და Rosneft-ის ერთობლივ საწარმოზე პირდაპირი ზეგავლენა არ ექნება, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ეს დინამიური სიტუაციაა,“ - აცხადებს ნორვეგიელი. იგი ასევე იმედოვნებს, რომ მომავალ წელს პარიზში გასამართ კლიმატის ცვლილების სამიტზე გლობალური საზოგადოება ნახშირბადების გლობალურ ფასს ჩამოაყალიბებენ. Statoil-ის აზრით გლობალური ნახშირბადების ფასი საშუალებას მისცემს საერთაშორისო ბაზრებს განავითარონ ნახშირბადის ემისიის შემცირების სისტემები იმაზე ადრე, ვიდრე ამას სხვა მარეგულირებელი რეჟიმი უზრუნველყოფდა.⁹

გერმანია ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს და ენერჯის 74%-ს განახლებადი წყაროებიდან იღებს

კვირას, შუადღეს გერმანიაში განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ელ.ენერჯის გამომუშავების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა, რომელმაც მთლიანი გენერაციის თითქმის 75% შეადგინდა. მზისა და ქარის სადგურებიდან მიღებულმა ჭარბმა ენერჯიამ ელ.ენერჯიაზე ფასები შეამცირა.



2014 წლის პირველ კვარტალში ქვეყნის მოთხოვნის 27% განახლებადი ენერჯიებით იყო უზრუნველყოფილი, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი

კლიმატურმა პირობებმა. „განახლებადებზე მომუშავე გენერატორებმა 40.2 მლრდ.კვტ.სთ. ელექტროენერჯია გამოიმუშავეს, მაშინ როცა გასული წლის ამავე პერიოდში ეს რიცხვი 35.7 მლრდ.კვტ.სთ-ს შეადგენდა“ - აცხადებს Bloomberg-ი. გერმანიის განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება ძირითადად ბოლო დეკადაში მოხდა და აღნიშნული წყაროებიდან მიღებული ელ.ენერჯია (27%) 2-ჯერ აღემატება აშშ-ის განახლებადების გამომუშავებას (13% - 2013 წლის ნოემბერში).

დაკვირვებების შედეგად მიიჩნევენ, რომ ზემოთ აღნიშნული სარეკორდო მაჩვენებლები კვლავ გაიზრდება ქვეყნის ენერჯო-ტრანსფორმაციის შედეგად, რომლის

⁹ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=81a432c2-ad37-4a7b-b861-fc5305c55109>

ძირითად მიზანს 2050 წლისათვის ქვეყნის თითქმის მთლიანი მოთხოვნის განახლებადადებიდან მიღებული ენერჯით უზრუნველყოფა წარმოადგენს. იმისათვის, რომ აღნიშნული პერიოდისთვის განახლებალების 80%-იან წილს მიაღწიონ, ქვეყანას „ჩქარი ნაბიჯებით“ მოუწევს სიარული. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ცნობილია „ნაცრისფერი ცის“ სახელით (ქვანახშირის სადგურებიდან გამონახოლქვის დიდი ოდენობის გამო), ქვეყანაში ძალიან დიდი ოდენობით მზის ფოტოვოლტაიკები დააყენეს. 2012 წლის ბოლოს სხვა ქვეყნებთან შედარებით გერმანიას ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი მზის სადგურის სიმძლავრე ქონდა, თუმცა მკვეთრი ზრდა 2013 წელს შემცირდა და სისტემას დამატებით 3.3 გვტ. სიმძლავრე შეემატა, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 2012 წელს 7.6 გვტ-ს შეადგენდა.¹⁰

მსოფლიო

რუსეთსა და ჩინეთს გაზის შესახებ საბოლოო შეთანხმებამდე ერთი ნაბიჯი აშორებს - „გაზპრომი“

რუსეთის სახელმწიფო კომპანია „გაზპრომის“ განცხადებით, გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით პეკინთან 30 წლიანი შეთანხმების დასრულებამდე კიდევ ერთი ნაბიჯია



დარჩენილი, რომლის დაგვირგვინება მომდევნო კვირაშია მოსალოდნელი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ჩინეთში ვიზიტის დროს.

რუსეთი აწარმოებს მოლაპარაკებებს ჩინეთთან, 10 წლის განმავლობაში, წელიწადში 38 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდების შესახებ, თუმცა შეთანხმება არაერთხელ გადაიდო, მიზეზი კი ფასზე აზრთასხვადასხვაობა გახდა.

რუსეთის დასავლეთთან უკრაინის კრიზისით გამოწვეული მაღალი დამაბულობის გამო, მოსკოვი ცდილობს ნავთობისა და გაზის გარკვეული რაოდენობა ევროპული ბაზრიდან გადაამისამართოს აზიის მიმართულებით.

გასულ კვირას, „ჩინეთის სახელმწიფო ნავთობის კორპორაციის“ განცხადებით, „გაზპრომთან“ მიღწეულ იქნა შეთანხმება და მზად არიან კონტრაქტზე ხელის მოსაწერად პუტინის ჩინეთში ვიზიტის დროს, თუმცა ვერ თანხმდებიან ფასებთან მიმართებაში.

¹⁰ <http://oilprice.com/Alternative-Energy/Renewable-Energy/Germany-Hits-Historic-High-Gets-74-Percent-Of-Energy-From-Renewables.html>

იგივეს ადასტურებს „გაზპრომის“ აღმასრულებელი დირექტორი ალექსეი მილერი: მოლაპარაკებები ფინანსურ ეტაპზეა და მხოლოდ ფასებზე ვთანხმდებით.“ მისივე განცხადებით, მხოლოდ ერთი ციფრია შესთანხმებული და 30 წლიან მოლაპარაკებებს ხელი მოეწერება.

ანალიტიკოსების თქმით, რუსეთის „გაზპრომის“ შემოსავლის დაახლოებით 80% ევროპაში გაყიდული გაზს მოაქვს. შესაბამისად, ჩინეთის სახით მსოფლიოში ყველაზე დიდი ენერგეტიკული ბაზრის მიერ შეთანხმებაზე უარის შემთხვევაში გამომჟღავნდება რუსეთის უზარმაზარი დამოკიდებულება დასავლეთთან და სწორედ ამიტომ აღნიშნულმა ვითარებამ შესაძლოა გააძლიეროს პეკინის პოზიციები.

მილერი კი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება ურთიერთსასარგებლო პირობების გათვალისწინებით გაფორმდება, ასევე მხარეებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები ჩინეთის მიმართულებით რუსული გაზის მეორე მარშრუტის პროექტის შესახებ და მიმდინარე პროექტის განხორციელების შემდეგ ამ უკანასკნელზე გაფორმდება ხელშეკრულება.¹¹

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ვაჟი უკრაინულ გაზის კომპანიას უერთდება

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის უმცროსი ვაჟი ჰანტერ ბაიდენი უკრაინის გაზის მწარმოებელ უმსხვილეს კერძო კომპანიაში იურიდიულ საკითხებს უხელმძღვანელებს. როგორც მან აღნიშნა, ეს ნაბიჯი სასარგებლო იქნება უკრაინელებისა და ქვეყნის ეკონომიკისათვის.



ორშაბათს Burisma Holdings-მა ვებგვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰანტერ ბაიდენი მათ დირექტორთა საბჭოს შეუერთდება და კომპანიის იურიდიულ ნაწილს უხელმძღვანელებს.

„როგორც დირექტორთა საბჭოს ახალ წევს მჯერა, რომ ჩემი საკონსულტაციო დახმარება კომპანიის გამჭვირვალების, კორპორატიული მმართველობის და პასუხისმგებლობის, საერთაშორისო გაფართოების და სხვა პრიორიტეტული

¹¹ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=89e27c65-bb4d-4d5d-82d8-3269c1cf0e09>

მიმართულებების კუთხით ხელს შეუწყობს ეკონომიკას და სარგებლობას მოუტანს უკრაინელ ხალხს“, - აღნიშნავს ჰანტერ ბაიდენმა თვის განცხადებაში.

Lenta.ru-ს ინფორმაციით, Burisma Holdings-ი უკრაინაში გაზისა და ნავთობის რამდენიმე კომპანიას ფლობს, მათ შორის - Esko Pivnich-სა და Pari-ს. კომპანიას ასევე აქვს აქტივები უკრაინის დნეპრ-დონეცკის, კარპატებისა და აზოვ-კუვანის აუზებში.

როგორც აპრილის ბოლოს ამერიკელმა ფინანსისტმა და დირექტორთა საბჭოს წევრმა დევონ არჩერმა გაზეთ „ვაპიტალს“ განუცხადა, Burisma-მ 2013 წელს 11.6 ათასი ბარელი ნავთობის ეკვივალენტი აწარმოა და გეგმავს 2014 წელს უკრაინაში წარმოება 35-40%-ით გაზარდოს.

ჰანტის მამამ, როგორც აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა, არაერთხელ გაკიცხა რუსეთი უკრაინის საქმეებში ჩარევის გამო და პირობა დადო, რომ მხარს დაუჭერს უკრაინის ძალისხმევას, შეამციროს დამოკიდებულება რუსულ ენერგომატარებლებზე.¹²

ინდოეთი იაპონიას გადაასწრებს და სიდიდით მსოფლიოს მესამე ნავთობმომხმარებელი გახდება

ენერგეტიკული ინფორმაციის ადმინისტრაციის (EIA) მიხედვით, 2025 წლისთვის ინდოეთი გადაასწრებს იაპონიას და აშშ-ს და ჩინეთის შემდეგ გახდება მსოფლიოს მესამე უდიდესი ნავთობმომხმარებელი ქვეყანა.

EIA-ის წლიური ანგარიშის მიხედვით, ინდოეთის ნავთობის მოხმარება 2012 წლის დღიური 3.68 მილიონი ბარელიდან 2025 წელს 5.19 მილიონამდე გაიზრდება და გადაასწრებს იაპონიის დღიურ მოხმარებას, რომელიც 4.38 მილიონი ბარელი იქნება. იაპონიამ 2012 წელს დღეში 4.75 მილიონი მოიხმარა.

დღესდღეობით ინდოეთი მსოფლიოს მეოთხე უდიდესი ნავთობმომხმარებელი ქვეყანაა აშშ-ს, ჩინეთისა და იაპონიის შემდეგ. აშშ მომავალშიც იქნება მსოფლიოს უდიდესი მოხმარებელი, მაგრამ ზრდის გარეშე. 2012 წელს აშშ-მ დღეში 18.21 მილიონი ბარელი ნავთობი მოიხმარა. აღნიშნული მონაცემი მოსალოდნელია, რომ 2020 წელს ჯერ 19.23 მილიონამდე გაიზრდება, შემდეგ კი 2025 წელს 18.97 მილიონამდე და 2040 წელს 18.42 მილიონამდე შემცირდება.

ჩინეთის ნავთობის მოხმარება დაახლოებით წლიურად 2.5%-ით გაიზრდება. 2012 წლის მოხმარება დღეში 10.36 მილიონი ბარელიდან 2025 წლისთვის დღიურ 15.7 მილიონამდე გაიზრდება, ხოლო 2040 წელს 20.48 მილიონს მიაღწევს.

¹²http://world.einnews.com/article/204703491/5d2AVnvZ9XnUDNED?afid=777&utm_source=MailingList&utm_medium=email&utm_campaign=Breaking+News:+world677-Wednesday

ინდოეთის 2012-2040 წლების ზრდა მსოფლიოში ყველაზე დიდი, დაახლოებით 3% იქნება და 2040 წელს ქვეყნის მოხმარება 8.33 მილიონ ბარელს მიაღწევს. ინდოეთის მიერ მოხმარებული ნავთობის 80% იმპორტულია. დღესდღეობით ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 4.5-ჯერ, ხოლო აშშ-ის მშპ 9-ჯერ მეტია ინდოეთის მთლიან შიდა პროდუქტზე.

2013 წელს ინდოეთმა გადაუსწრო იაპონიას ნავთობის იმპორტში. მან დღეში 3.86 მილიონი ბარელის იმპორტი განახორციელა, რაც 6%-ით მეტია იაპონიის იმპორტზე. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) გათვლებით, ინდოეთი 2020 წლისთვის მსოფლიოს უდიდესი ნავთობიმპორტიორი გახდება.¹³

ანალიტიკა

ბალტიისპირეთს შეუძლია გაუმკლავდეს რუსულ ენერგო ემბარგოს

ესტონეთი, ლიტვა, ლატვია დამოკიდებულია რუსულ იმპორტულ ბუნებრივ



აირზე, მაგრამ მათ შეუძლიათ დააკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნა ალტერნატიული გზებით იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი უკრაინის კრიზისის შემდგომი გართულების შედეგად შეწყვეტს ბუნებრივი აირის მიწოდებას სხვა ევროპული სახელმწიფოებისთვისაც. როგორც ცნობილია, რუსეთი უკრაინას გაზის მიწოდების შეწყვეტით დაემუქრა თუ წინასწარ არ გადაიხდის მომავალი თვის გაზრდილ საფასურს. მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში

ევროპულ სახელმწიფოებს პრობლემები შეექმნებათ, რადგან რუსეთი უკრაინის გავლით ევროპას დაახლოებით ევროპის მთლიანი მოთხოვნის 16-17% ბუნებრივ აირს აწვდის.

ბალტიისპირეთში კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ რუსეთი ბუნებრივ აირს პოლიტიკურ იარაღად იყებს და შესაბამისად მათ სხვა ალტერნატივები განავითრეს.

ესტონეთი 2012 წელს დანიის შემდეგ იმპორტულ ენერგიაზე ყველაზე ნაკლებად დამოკიდებული ევროკავშირის წევრი ქვეყანა იყო. ელექტროენერჯის გენერაციის 81% ფიქალის ნავთობის ხარჯზე ხდება, 15% კი განახლებად წყაროებზე მოდის.

¹³ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=42e662cd-06a3-4e83-95bb-3d4462562d42>

ლატვიის მიწისქვეშა საცავს შეუძლია 2.3 მილიარდი კუბ.მ ბუნებრივი აირის შენახვა, რომელიც გაცილებით აღემატება ქვეყნის 2013 წლის მოხმარებას - 1.5 მილიარდ კუბ.მ-ს. თბილი ზამთრის შემდეგ საცავში მნიშვნელოვანი რეზერვებია, რომლის განახლებაც უკვე მიმდინარეობს. ექსტრემალურ სიტუაციაში ლატვიას შეუძლია გამოიყენოს ბუფერული გაზიც, რომელიც საცავში წნევის უზუნველსაყოფადაა შენახული და რომლითაც ქვეყნის მოთხოვნის დაკმაყოფილება ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელია.

ლიტვა 2015 წლიდან თხევადი ბუნებრივი აირის (თბა) იმპორტს იწყებს აშშ-დან. ლიტვაში მიაჩნიათ, რომ აუცილებელია რუსული გაზის ჩანაცვლება და უკვე მიმდინარე წლის დეკემბერში, ქალაქ კლაიპედაში თბა-ს იმპორტის ტერმინალი იხსნება. რუსეთი კალინინგრადის ოლქს, რუსული ბალტიის ფლოტის ნავსაყუდელს, ბუნებრივი აირით ლიტვის გავლით ამარაგებს. რუსეთი კალინინგრადში გაზის საცავის მშენებლობას იწყებს, რომელიც ოლქის მოამრავლებს დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში შეძლებს. ლიტვაში მიაჩნიათ, რომ რუსეთი კალინინგრადში საცავის აშენებით ლიტვასთან ენერგო კონფრონტაციისთვის ემზადება. საპასუხოდ ლიტვას უკვე საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი რუსულ ენერგიაზე დამოკიდებულების მნიშვნელოვნად შემცირება.

ლიტვის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თბა-ს ტერმინალი ხელს შეუწყობს რუსული გავლენის შემცირებას. თავდაპირველად ტერმინალით ქვეყნის მოთხოვნის 2/3 დაკმაყოფილდება რაც დახლოებით 2.7 მილიარდი კუბ.მ-ია. მომავალში თბა-ს იმპორტის მოცულობა 4 მილიარდამდე გაიზრდება. რუსული გაზის ფასი ლიტვაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროპაში, რაც ამერიკელ იმპორტიორებს საშუალებას აძლევს კონკურენცია გაუწიონ „გაზპრომს“.

ბალტიისპირეთის ყველაზე მცირე სახელმწიფო ესტონეთი ყველაზე ნაკლებადაა დამოკიდებული რუსულ გაზზე, ხოლო ქვეყნის ენერგო მიქსში კი გაზს მხოლოდ 10% უჭირავს - 700 მილიონი კუბ.მ. ლატვიაში კი სადაც რუსული გაზი შედარებით იაფია ჯერ-ჯერობით არ დგას რუსული გაზის ჩანაცვლების საკითხი.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, რუსეთი მოერიდება ბალტიისპირეთისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტას, რადგან ასეთი მკვეთრი ნაბიჯი შემდგომში ბალტიისპირეთის ქვეყნებს ენერგოდამოუკიდებლობასა და ალტერნატიული წყაროების შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს, რაც საბოლოოდ შეასუსტებს რუსულ გავლენას რეგიონში.¹⁴

¹⁴ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=1ada04db-0685-494a-bd3c-5cec57d4af6f>